გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №3

2023 წლის 13 იანვარი

ქალაქი გორი

კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანმურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანმურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა - რეაბილიტაციასა და გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობას. ყველა მოცემულ საკითხში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს ,,კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანმურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანმურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამა" დანართი №1-ის (თან ერთვის 4 ფურცლად) შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანძურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამა.

1. პროგრამის სახელწოდება - კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, კულტურული მემკვიდრეობის, საგანძურის, რელიგიური მნიშვნელობის კერების რეაბილიტაციის და მშენებლობის ღონისძიებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი - 2023 წლის იანვარი - 2023 წლის დეკემბერი.
3. პროგრამის დაფინანსების წყარო - გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 05 03
4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურაა გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული- განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
5. პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება: პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანძურის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების, რელიგიური კერების აღდგენა რეაბილიტაციისა და ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობას; მათ შორის ყველა მოცემულ საკითხში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.
6. პროგრამით ისარგებლებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცა/დაწესებულება რომელიც შემოიტანს შესაბამის განცხადებას, პროექტს და რომლის პროექტიც მოწონებულ იქნება გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

7. პროგრამის მიზანი:

№	პროგრამის მიზნები	შეფასების ინდიკატორი
	გორის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-შენახვის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა - რეაბილიტაცია, ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობა.	1. ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების და რელიგიური კერების რეაბილიტაცია; 2. ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობა.

8. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია.

№	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	შ ე ნ ი შ ნ ვ ა
	ყველა რელიგიური დაწესებულება	განუსაზღვრელია (ასიგნების ამოწურვამდე)	

შენიშვნა: გორის მუნიციპალიტეტში კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვის, საეკლესიო საგანძურის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების აღდგენა - რეაბილიტაცის, ახალი რელიგიური კერების მშენებლობის ხელშეწყობის დაფინანსება მოხდეს უფლებამოსილი პირების მიერ შემოტანილი განცხადებების და რეალური საჭიროებების მიხედვით.

9. პროგრამის დაფინანსება:

დაფინანსების წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

10. აღდგენის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ბიუჯეტი	შენიშვნა
	1. ისტორიული ძეგლების თაობაზე საინფორმაციო მასალის გამოშვება. 2. გორის მუნიციპალიტეტში არსებული საეკლესიო საგანძურის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების და რელიგიური კერების აღდგენა - რეაბილიტაციისათვის მოსამზადებელი პროექტების დაფინანსება. 3. გორის მუნიციპალიტეტში არსებული საეკლესიო საგანძურის, ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების და რელიგიური კერების აღდგენა, რეაბილიტაცია, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი რელიგიური კერების მშენებლობისთვის რელიგიური დაწესებულებების ფინანსური დახმარება.	გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	